საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/17

ქ. ბათუმი 1 თებერვალი, 2018 წ.

ბსუ-ს სტუდენტური სერვისების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის და ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 14 ივნისის N01-11/47 ბრძანების, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის 2018 წლის 31 იანვრის N99778 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **ბსუ-ს სტუდენტური სერვისების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:**

ა) **დაინერგოს სტუდენტური სერვისების მართვის ელექტრონული სისტემა** - portal.bsu.edu.ge (შემდეგში ,,პორტალი" ან ,,სტუდენტური პორტალი") და დამტკიცდეს ამ პორტალის ადმინისტრირების თანდართული წესი (**დანართი 1**);

ბ) **პორტალის ამოქმედებასთან დაკავშირებით შევიდეს დამატებები** ,,ბსუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის და ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 14 ივნისის N01-11/47 ბრძანებაში და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 16 თებერვლის N01-08/6 ბრძანებაში;

გ) დაევალოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების უფროსებსა და ფაკულტეტების დეკანებს უზრუნველყონ სტუდენტური პორტალის

გ) დაევალოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების უფროსებსა და ფაკულტეტების დეკანებს უზრუნველყონ სტუდენტური პორტალის ადმინისტრირების წესის შესაბამისად სტუდენტური სერვისების დროული ხელმისაწვდომობა;

2. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსებს, ფაკულტეტებს, ბიბლიოთეკას, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის მენეჯერს, იურიდიულ დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს სტუდენტური პორტალის ადმინისტრირების წესი

1. წინამდებარე წესი არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში ,,ბსუ") დანერგილი სტუდენტური სერვისების მართვის ელექტრონული სისტემის - (portal.bsu.edu.ge, შემდეგში ,,სტუდენტური პორტალი") ადმინისტრირების პროცედურებს.
2. სტუდენტური პორტალის მეშვეობით ბსუ-ს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის (რომლებიც რეგისტრირებული იქნებიან სისტემაში) მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადაში ხელმისაწვდომი უნდა იქნეს შემდეგი მომსახურება (სერვისი):

   2.1. სტუდენტის განცხადების საფუძველზე ორგანიზებული იქნეს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის ან/და გავლილი კრედიტების შესახებ ცნობების, ასევე რეკომენდაციების გაცემის პროცედურა;

   2.2. სტუდენტის განცხადების საფუძველზე ორგანიზებული იქნეს ბსუ-ს დიპლომის სტანდარტული დანართით/სერტიფიკატის/მოწმობის გაცემის პროცედურა;

   2.3. პორტალის მომხმარებელმა მიიღოს ინფორმაცია:

   ა) ბსუ-ში მიმდინარე სიახლეების შესახებ;

   ბ)საუნივერსიტეტო, სხვადასხვა საერთაშორისო სტიპენდიების, ადგილობრივი სამთავრობო სტიპენდიების შესახებ;

   გ) საერთაშორისო და ეროვნული (ადგილობრივი) კონფერენციების შესახებ;

   დ) ბსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო/სამეცნიერო/კულტურული ან/და სპორტული ჯგუფების შესახებ;

   ე) საჯარო ლექციების, შეხვედრების, ტრენინგებისა და სემინარების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ;

   ვ) საუნივერსიტეტო პროექტების/პროგრამების შესახებ;

   ზ) სხვადასხვა კონკურსების ან/და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ;

   თ) ბსუ-ში მიმდინარე კულტურული და სპორტული ღონისძიებების შესახებ;

   ი) შიდა საუნივერსიტეტო, ადგილობრივი მთავრობის თუ ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამოცხადებული, საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი სოციალურ პროგრამების შესახებ;

   კ) ბსუ-ს ადმინისტრაციის შეხედულებით სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის საინტერესო სხვა საკითხების შესახებ.
3. სტუდენტურ პორტალზე რეგისტრაცია ხორციელდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ (შემდეგში ,,მომხმარებლები"), ხოლო რეგისტრაციის პროცესის

გამართულ მუშაობას კოორდინაციას უწევს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური.

4. პორტალის საშუალებით მომხმარებლები (სტუდენტები და კურსდამთავრებულები) მიიღებენ საინფორმაციო ხასიათის მოკლეტექსტურ შეტყობინებებს (რეგისტრაციისას მათ მიერ მითითებულ ტელეფონის ნომრებზე).
5. სტუდენტური სერვისების მართვის ელექტრონული სისტემის (portal.bsu.edu.ge) - სტუდენტური პორტალის მართვა და ადმინისტრირება ხორციელდება ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ, ხოლო პორტალის ტექნიკური ნაწილის გამართულად ფუნქციონირებას კოორდინაციას უწევს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური.
6. **სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური სტუდენტური პორტალის ადმინისტრირების მიზნით:**

ა) ახორციელებს პორტალზე მომხმარებელთა რეგისტრაციის გამართულობის კონტროლს (საჭიროების შესაბამისად დახმარებას უწევს მომხმარებელს);

ბ) ახდენს პორტალზე ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულის/დასაქმებულის დამატებას/რედაქტირებას/წაშლას;

გ) ახორციელებს ბსუ-ში მოქმედი სტუდენტური სერვისების ელექტრონულ ფორმატში გადატანას;

დ) კოორდინაციას უწევს წინამდებარე წესის 2.1. და 2.2. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სერვისების ეფექტურ ხელმისაწვდომობას;

ე) პასუხისმგებელია ბსუ-ს მოკლეტექსტური შეტყობინებების მიზნობრიობის განსაზღვრაზე და კოორდინაციას უწევს მათი ადრესატებამდე დაგზავნის პროცესს;

ვ) კოორდინაციას უწევს ბსუ-ში მოქმედ საგანმანათლებლო/სამეცნიერო/კულტურულ ან/და სპორტულ ჯგუფებში სტუდენტთა ელექტრონულ რეგისტრაციას და შესაბამისი ინფორმაციის ბსუ-ს მართვის ორგანოებისათვის მიწოდებას;

ზ) ახორციელებს წინამდებარე წესის 2.3. პუნქტში მითითებული ინფორმაციის მოძიებას/საჭიროების შემთხვევაში თარგმნას და პორტალზე განთავსებას;

თ) ახდენს პორტალზე ბსუ-ს კურსდამთავრებულთა და პოტენციურ დამსაქმებელთა დამატებას/რედაქტირებას/წაშლას;

ი) ახორციელებს შიდა საუნივერსიტეტო, ადგილობრივი მთავრობის თუ ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ, საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი სოციალურ პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას და პორტალზე ატვირთვას;

კ) ახორციელებს ბსუ-ს ადმინისტრაციის შეხედულებით სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის საინტერესო სხვა საკითხების, სერვისების და სიახლეების შესახებ ინფორმაციის დამატებას/წაშლას.

ან/და გავლილი კრედიტების შესახებ ცნობების, ასევე რეკომენდაციების გაცემა უნდა მოხდეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისის სპეციალისტის მიერ.

8. სტუდენტურ პორტალზე რეგისტრირებული სტუდენტის განცხადების საფუძველზე ორგანიზებული პროცესის შედეგად დიპლომის სტანდარტული დანართით/სერტიფიკატის/მოწმობის გაცემა უნდა მოხდეს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურის პასუხისმგებელი პირის მიერ მას შემდეგ, რაც პორტალის მეშვეობით ბსუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები ელექტრონულად დაადასტურებენ შემდეგ ფაქტს:

ა) უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი - სტუდენტის/კურსდამთავრებულის ფინანსურის დავალიანების არ ქონის შესახებ;

ბ) ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა - დასტური ვალდებულების არ ქონის შესახებ;

გ) უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი - საერთო საცხოვრებლით სარგებლობისას წარმოშობილი ვალდებულების არ ქონის შესახებ;

დ) შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისი - აკადემიური დავალიანების არასებობის შესახებ (რა შემთხვევაშიც უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამის ველში აიტვირთება სტუდენტის დიპლომის დანართი).

9. სტუდენტურ პორტალზე რეგისტრირებულ პოტენციურ დამსაქმებელი უფლებამოსილია პორტალზე განათავსოს ვაკანსიები და გაეცნოს პორტალზე რეგისტრირებულ ბსუ-ს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა CV-ებს.

10. წინამდებარე წესის მოთხოვნათა ეფექტური აღსრულების მიზნით:

ა) წესში აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების უფროსებმა უნდა უზრუნველყონ პორტალის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა და შესაბამისი ინფორმაციის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის წარდგენა, ასევე ამ პირთა მიერ პორტალზე შემოსული განცხადებების ყოველდღიური შემოწმება;

ბ) ბსუ-ს კანცელარიაში რეგისტრირებული სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა განცხადებები წინამდებარე წესით გათვალისწინებული სერვისების მიწოდების შესახებ წარიმართოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მოთხოვნილი სერვისის პორტალის მეშვეობით ეფექტური მიღება.